### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## ბრძანება №1213

თბილისი „31“ 10 2014წ

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს „ინფრასტრუქტურის განვითარების 2014 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 25 მარტის N365 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფროსის 2014 წლის 3 ოქტომბრის N763133 2014 წლის 7 ოქტომბრის N774799 წერილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 7 ოქტომბრის N775459 და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 ოქტომბრის N826724 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს „ინფრასტრუქტურის განვითარების 2014 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 25 მარტის N365 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

დანართი

# სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

## სამოქმედო გეგმა
2014 წელი

სარჩევი


მუხლი 1. შესავალი....3
1.1 მისია ....3
1.2 მიზნები....3
1.3 ძირითადი მიმართულებები და პროგრამები ....3
1.4 სააგენტოს აპარატი ....3
1.5 ბიუჯეტი....3
მუხლი 2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვა ....4
2.1 ზოგადი მიმოხილვა ....4
2.2 პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“....4
2.2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა....4
2.2.2 საჯარო სკოლების რეესტრი ....5
2.2.3 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა ....5
2.2.4 საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის აუცილებელი ტექნიკური პირობებით უზრუნველყოფა ....5
2.2.5 მიმდინარე საპროექტო-სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტროლი....5
2.2.6 ზამთრის სეზონისათვის მზადება ....5
2.2.7 საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებებისათვის მიზნობრივი ასიგნებების გადაცემა. ....5
მუხლი 3. საჯარო სკოლებსა და სსიპ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება .... 5
3.1 ზოგადი მიმოხილვა....6
3.2 პროგრამა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა" ....6
3.2.1 საჯარო სკოლებისა და სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპიუტერული ლაბორატორიების განახლება/აღჭურვა....6
3.3 პროგრამა ,,ჩემი პირველი კომპიუტერი"....6
3.3.1 პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ბენეფიციარები ....6
3.3.2პირველკლასელთათვის პორტაბელური კომპიუტერების (ნოუთბუქების) გადაცემა....7
მუხლი 4. საზოგადოების ინფორმირების კამპანია....7
მუხლი 5. თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან....7
დანართები ....7

## თავი 1.შესავალი

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) რეორგანიზაცია განხორციელდა და მისი დებულება დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N225/ნ ბრძანების საფუძველზე.

### 1.1 მისია

სააგენტოს მისიაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში.

### 1.2 მიზნები

სააგენტოს მიზნებია:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვა;

ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება;

გ)თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

### 1.3 ძირითადი მიმართულებები და პროგრამები

ზემოაღნიშნული მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტო თავის საქმიანობას სამი ძირითადი მიმართულებით წარმართავს:

- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვა:
  - პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“.
- საქართველოს საჯარო სკოლებში (შემდგომში საჯარო სკოლები) ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება:
  - პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა“;
  - პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“.
- პროგრამა ,,მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“.

### 1.4 სააგენტოს აპარატი

სააგენტოს საშტატო განრიგი ითვალისწინებს 57 საშტატო თანამდებობას. პროგრამების განხორციელებისას, საჭიროებისამებრ დამატებით ხელშეკრულება გაუფორმდებათ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

### 1.5 ბიუჯეტი

2014 წელს სააგენტოს ბიუჯეტი შეადგენს 111 551 368.18 ლარს, მათ შორის:

საკუთარი შემოსავალი (ნაშთი) – 32 073.18 ლარი;
სახელმწიფო ბიუჯეტი - 111 519 295 ლარი, მათ შორის:
სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (აპარატი) – 1 702 455 ლარი,
საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა - 1 962 590 ლარი,
პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი" – 21 349 455 ლარი,
საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 71 846 445 ლარი;
მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 14 658 350 ლარი."

სააგენტოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის N73/ნ ბრძანების შესაბამისად გააჩნია საკუთარი შემოსავლები.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვა

### 2.1 ზოგადი მიმოხილვა

2014 წელს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რეაბილიტაციის, მშენებლობის, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვის, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს მიერ დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

### 2.2 პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია"

2014 წელს სააგენტო გეგმავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობასა და რეაბილიტაციას, მათ შორის, სააგენტო უზრუნველყოფს წინა წელს შეწყვეტილი ხელშეკრულებებით აღებული პასუხისმგებლობების შესრულებასა და მრავალწლიანი ხელშეკრულებების განხორციელებას.

სამშენებლო/სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო დაწესებულებათა სია მოცემულია დანართში №1.

სააგენტო უზრუნველყოფს სსიპ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"-ს შენობის დაცვის მომსახურებას.

#### 2.2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა

სააგენტო მოახდენს საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფას.

წინა წლებში შესყიდული/დარჩენილი ქონების გაცემა მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალების შესაბამისად.

სააგენტო განახორციელებს საჯარო სკოლებში განსათავსებელი სასკოლო მერხებისა და სკამების სახელმწიფო შესყიდვას.

შესაძლებელია, სააგენტომ საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად გამოიყენოს წინა წლებში შესყიდული ტექნიკა (ნაშთი).

### 2.2.2 საჯარო სკოლების რეესტრი

2009 წელს სააგენტომ უზრუნველყო საჯარო სკოლების რეესტრის ფორმირება. დასრულდა საძიებო ინტერნეტ ვერსიის შემუშავება, რომლის ნახვაც შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდის საშუალებით: http://www.esida.ge/school-database.html?lang=ka

2014 წელს განხორციელდება მონაცემთა ბაზის განახლება.

### 2.2.3 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა

სააგენტო, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას განახორციელებს ,,მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

### 2.2.4 საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის აუცილებელი ტექნიკური პირობებით უზრუნველყოფა

ასაშენებელი და სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო დაწესებულებების აუცილებელი ტექნიკური პირობებით (წყალი, გაზი, კანალიზაცია, ელექტრო გაყვანილობა) უზრუნველყოფა, კომუნიკაციების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება, სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის ავტორებთან ხელშეკრულებების გაფორმება საავტორო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით და შესაბამისი სამუშაოების დაფინანსება.

### 2.2.5 მიმდინარე საპროექტო-სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტროლი

სააგენტო უფლებამოსილია საპროექტო-სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხარისხის კონტროლის გამკაცრებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოახდინოს ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესაბამისი დასკვნების საფუძველზე. ამ მიზნით სააგენტო მიმართავს შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციას.

### 2.2.6 ზამთრის სეზონისათვის მზადება

ზამთრის სეზონის დადგომამდე, სააგენტო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეისწავლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში წინა წლებში დამონტაჟებული გათბობის სისტემების მდგომარეობას და შეიმუშავებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზებს.

### 2.2.7 საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის მიზნობრივი ასიგნებების გადაცემა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით გადასცემს ასიგნებებს საგანმანათლებლო სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მისი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად.

## მუხლი 3. საჯარო სკოლებსა და სსიპ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება

### 3.1 ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, რომლის ეფექტურ განხორციელებას ხელს შეუწყობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის (კომპიუტერული აღჭურვისა და ინტერნეტ-კავშირის) უზრუნველყოფით, სწავლების პროცესის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და წარჩინებული მოსწავლეების წახალისება.

აღნიშნული მიმართულებით სააგენტოს მიერ 2014 წელს განხორციელდება შემდეგი პროგრამები:

- პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა";
- პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი".

### 3.2 პროგრამა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა"

#### 3.2.1 საჯარო სკოლებისა და სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპიუტერული ლაბორატორიების განახლება/აღჭურვა

სააგენტო, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის მიზნით, განახორციელებს საჯარო სკოლებისა და/ან სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპიუტერული ლაბორატორიების განახლება/აღჭურვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას.

შესყიდული/დარჩენილი სასკოლო და სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპიუტერული ლაბორატორიების გაცემა მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალების შესაბამისად.

### 3.3 პროგრამა ,,ჩემი პირველი კომპიუტერი"

#### 3.3.1 პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ბენეფიციარები

პროგრამის მიზანია საჯარო სკოლებში წარჩინებული მოსწავლეებისათვის კომპიუტერული ტექნიკის (ნოუთბუქების/სტაციონარული კომპიუტერების) გადაცემით ხელი შეუწყოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ხელი შეუწყოს სიღარიბის დაძლევას და კონკურენტული ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას.

2014 წელს, პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრონ:

საჯარო სკოლის მოსწავლეები რომლებმაც 2013-2014 სასწავლო წელს დაასრულეს საბაზო საფეხური და საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე), ამ მიზნებისთვის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას წინა წლებში შესყიდული/დარჩენილი კომპიუტერული ტექნიკა.

ამ პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების გარდა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღების ხელშეწყობის, მოსწავლეთა და სტუდენტთა წახალისების მიზნით, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით პორტაბელური კომპიუტერები (ნოუთბუქები), მათ შორის მიმდინარე წელს ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ეკონომიის ხარჯზე დამატებით შეძენილი და წინა წლებში შესყიდული კომპიუტერული ტექნიკა, გადაეცეს საქართველოს

სკოლის მოსწავლეებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს.
ასევე, შესაძლებელია სააგენტომ საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად გამოიყენოს წინა წლებში შესყიდული ტექნიკა.
სააგენტო 2014-2015 სასწავლო წლისათვის შეისყიდის პორტაბელურ კომპიუტერებს (ნოუთბუქებს) და პირველკლასელთა დამრიგებლებისათვის მიწოდების მიზნით გადასცემს საჯარო სკოლებს.

### 3.3. 2 პირველკლასელთათვის პორტაბელური კომპიუტერების (ნოუთბუქების) გადაცემა

სააგენტო 2014-2015 სასწავლო წლისათვის შეისყიდის და განახორციელებს საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელთათვის (რომელთა ზოგადი განათლების დაფინანსებაც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემის გზით) პორტაბელური კომპიუტერების (ნოუთბუქები) გადაცემას.
აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან 2014 წელს საჯარო სკოლებში ჩარიცხული პირველკლასელები, აგრეთვე, საჯარო სკოლის ის მოსწავლეები, რომლებიც ირიცხებიან/ჩაირიცხებიან I-III კლასში და არ მიუღიათ კომპიუტერი.
იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი აღარ წარმოადგენს მოსწავლის სტატუსის მქონე პირს, შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, ან 3 წლის განმავლობაში გადავა კერძო სკოლაში, სადაც არ ხორციელდება პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი", იგი ვალდებულია დაუბრუნოს კომპიუტერი შესაბამის სკოლას.
სააგენტო, შეისყიდის აღნიშნული პორტაბელური კომპიუტერებისათვის (ნოუთბუქები) კომპანია მაიქროსოფტთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში პორტაბელური კომპიუტერებისათვის (ნოუთბუქები) შესაბამისი რაოდენობის ლიცენზიებს.
სააგენტო საჯარო სკოლებს გადასცემს, უსადენო ინტერნეტ ქსელის მოსაწყობად, სააგენტოს ბალანსზე არსებულ Linksys Wireless Access Point-ს (სკოლების მოთხოვნის შესაბამისად).

### მუხლი 4. საზოგადოების ინფორმირების კამპანია

სააგენტო აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან, რათა უზრუნველყოს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება სააგენტოს მიერ გაწეული სამუშაოებისა და განხორციელებული პროგრამების შესახებ.

### მუხლი 5. თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან

სააგენტოს გამიზნული აქვს აქტიურად ითანამშრომლოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამატებითი დაფინანსების მოზიდვისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით.
სააგენტო დაამყარებს კავშირს სხვა ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან სკოლის მშენებლობის თანამედროვე სტანდარტების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების პროცესში დანერგვის შესახებ გამოცდილების გაზიარების და ა.შ. მიზნით.

### დანართები

დანართი N1. სამშენებელო/სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო დაწესებულებათა სია

სამშენებლო/სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო დაწესებულებათა სია დანართი N1.

| N | რეგიონი | მუნიციპალიტეტი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სამუშაოს ტიპი |
|---|---|---|---|---|
| 1 | აჭარა | ბათუმი | პროფესიული კოლეჯი ,,ბლექსი" | რეაბილიტაცია |
| 2 | გურია | ლანჩხუთი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 3 | გურია | ლანჩხუთი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 4 | გურია | ლანჩხუთი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 5 | გურია | ლანჩხუთი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომისუბნის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 6 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 7 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 8 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 9 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 10 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 11 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 12 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისფერდის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 13 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორმეთის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 14 | გურია | ოზურგეთი | ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა (დამხმარე კორპუსი) | რეაბილიტაცია |
| 15 | გურია | ოზურგეთი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბახვის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 16 | გურია | ოზურგეთი | ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 17 | გურია | ჩოხატაური | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუასურების საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა |
| 18 | გურია | ჩოხატაური | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა | მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 19 | გურია | ჩოხატაური | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანზომლეთის საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსი) | ავარიულობის შესწავლა |
| 20 | გურია | ჩოხატაური | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 21 | გურია | ჩოხატაური | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 22 | გურია | ჩოხატაური | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 23 | გურია | ჩოხატაური | მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 24 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 25 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №45 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 26 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №200 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 27 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №119 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა/რეაბილიტაცია |
| 28 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №120 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 29 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 30 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 31 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 32 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №181 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 33 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის N14 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 34 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №113 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 35 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №133 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 36 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №138 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა |
| 37 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | პროფსასწავლებელი ,,მერმისი" | რეაბილიტაცია |
| 38 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | ქალაქ თბილისის №207 საჯარო სკოლა | გამაგრება/რეაბილიტაცია |
| 39 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | გლდანის პროფესიული სასწავლებელი | რეაბილიტაცია |
| 40 | თბილისი | დიდგორი | დიდგორის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი (ქალაქ თბილისის №28 საჯარო სკოლა) | რეაბილიტაცია |
| 41 | თბილისი | დიდგორი | ქალაქ თბილისის №137 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 42 | თბილისი | დიდუბე-ჩუღურეთი | ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 43 | თბილისი | დიდუბე-ჩუღურეთი | ქალაქ თბილისის №100 საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 44 | თბილისი | დიდუბე-ჩუღურეთი | ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 45 | თბილისი | დიდუბე-ჩუღურეთი | ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 46 | თბილისი | დიდუბე-ჩუღურეთი | ქალაქ თბილისის №169 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა |
| 47 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №17 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 48 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №35 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 49 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 50 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 51 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №61 საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 52 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა/რეაბილიტაცია |
| 53 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 54 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 55 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №161 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 56 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №162 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 57 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №165 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 58 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 59 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №158 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 60 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 61 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 62 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 63 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 64 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა |
| 65 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 66 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 67 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 68 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №103 საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 69 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის N106 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 70 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №105 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 71 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №117 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 72 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა |
| 73 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 74 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №88 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 75 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 76 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 77 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №179 საჯარო სკოლა | პროექტირება (გამაგრება) |
| 78 | თბილისი | ისანი-სამგორი | პროფესიული კოლეჯი „სპექტრი" | რეაბილიტაცია |
| 79 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 80 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №216 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 81 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №217 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 82 | თბილისი | ისანი-სამგორი | ქალაქ თბილისის №219 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 83 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 84 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №23 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 85 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №63 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 86 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №47 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 87 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 88 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 89 | თბილისი | ძველი თბილისი | ქალაქ თბილისის №53 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 90 | თბილისი | ძველი თბილისი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ადმინისტრაციული კორპუსი) | ეზოს გამწვანება |
| 91 | იმერეთი | ბაღდათი | ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლა (დიდველას კორპუსი) | რეაბილიტაცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 92 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორის საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა/რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 93 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მულუხის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 94 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 95 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა გორას საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 96 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ უხუთის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 97 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელეფონის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 98 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 99 | იმერეთი | ვანი | ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 100 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ როდინაულის საჯარო სკოლა (სადგურ სვირის კორპუსი) | მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 101 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შროშას საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 102 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო | რეაბილიტაცია |
| 103 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოვრეთის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 104 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 105 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეეთის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 106 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს №2 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 107 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს №3 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 108 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 109 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხენთაროს საჯარო სკოლა (მეორე კორპუსი) | რეაბილიტაცია |
| 110 | იმერეთი | ზესტაფონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 111 | იმერეთი | თერჯოლა | თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის №1 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 112 | იმერეთი | თერჯოლა | თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდუბნის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 113 | იმერეთი | თერჯოლა | თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის №1 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 114 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 115 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №10 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 116 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 117 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №2 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 118 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №4 საჯარო სკოლა | ავარიულობის შესწავლა |
| 119 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №6 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 120 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №9 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 121 | იმერეთი | სამტრედია | ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 122 | იმერეთი | სამტრედია | გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 123 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 124 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 125 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 126 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 127 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის №2 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 128 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაყუდის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 129 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 130 | იმერეთი | სამტრედია | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 131 | იმერეთი | საჩხერე | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 132 | იმერეთი | საჩხერე | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 133 | იმერეთი | საჩხერე | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 134 | იმერეთი | საჩხერე | საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია/გაზიფიცირება |
| 135 | იმერეთი | ტყიბული | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლა | პროექტირება/მშენებლობა/ტექნიკური პირობების უზრუნველყოფა |
| 136 | იმერეთი | ტყიბული | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ სოჩხეთის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 137 | იმერეთი | ტყიბული | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბაძვლის საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 138 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №12 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 139 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №13 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 140 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 141 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №16 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 142 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №24 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 143 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №25 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 144 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №29 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 145 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №32 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 146 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №34 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 147 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №37 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 148 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №38 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 149 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №15 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 150 | იმერეთი | ქუთაისი | ქალაქ ქუთაისის №22 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
| 151 | იმერეთი | წყალტუბო | ქალაქ წყალტუბოს №3 საჯარო სკოლა | რეაბილიტაცია |
